ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ52. 522424327**

თარიღი:**30/08/2024**

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის**

**დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №283 ბრძანების მე-4 დანართის მე-4 პუნქტის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსის მარინე თედიაშვილის 2024 წლის 30 აგვისტოს N05-5224243001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**1.** დამტკიცდეს:

**ა)** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართი 1 -ის შესაბამისად;

**ბ)** პროგრამული კოდების მიხედვით პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების სამსახურები/ააიპ/შპს დანართი 2 -ის შესაბამისად.

**2.** დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - სამსახურის უფროსს, მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების /ქვეპროგრამების/ ღონისძიებები მათი მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

**3.** ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურს.

**4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**5.** ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქუჩა N15).

ავთანდილი გულიკაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი